



MES 6 22 0000446292



04/05/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 18 აპრილს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/87160220454?pwd=VjVZU2pLUzNZZ05uTU1jdVVSMEtREdz09>

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

- მარიამ ქუჩულორა** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
- მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
- გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
- თამაზ ბახტაძე** - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);
- ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
- გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
- ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
- თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
- თამარ ჯაფარიძე** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთერთობის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა:

ვახტანგ ბერიძე- დირექტორი;

მაია ანანიძე- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ია თავართქილაძე- იურისტი

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი:

გელა გვარიშვილი - პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სკოლის ხელმძღვანელი;

ნათია მიქელთაძე- ხარისხის კოორდინატორი;

ბესიკ შავიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

მაია ხურცილაძე-კონსულტანტი;

მაია პოლიაკოვა-განმახორციელებელი პირი;

თემურ კახიძე- აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს დირექტორი

შპს პირველი ფიტნეს აკადემია:

ვალენტა გორელჩანიკი-დირექტორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

მედეა თუთბერიძე,

მარიამ გელდიაშვილი,

ზაირა ბერიძე,

ვალერი გულბანი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ /01319/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „თექის ნაწარმის და აქსესუარების დამზადება“ /01318/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი“ /01320/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სამგზავრო გემის მიმტანი“ /01310/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს პირველი ფიტნეს აკადემიისთვის „ფიტნეს ინსტრუქტორი“ /01315/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხების წარმდგენებს სთხოვა, მოკლედ და ლაკონურად წარედგინათ პრეზენტაციები, ასევე აღნიშნა, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს მთავარ და ძირითად პრობლემურ საკითხებზე. საბჭოს თავმჯდომარემ ისიც აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობენ მასალებს, დასკვნას და ამდენად მნიშვნელოვან ასპექტებზე ყურადღების გამახვილება სთხოვა წარმდგენებს.

1. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ /01319/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ და განაცხადა, რომ მოკლედ ისაუბრებდა აღნიშნულ სკოლასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხარვეზები არ დაფიქსირებულა. მან ასევე წარადგინა დარგის ექსპერტი - მედეა თუთბერიძე და აღნიშნა, რომ ფიზიკური ვიზიტი განხორციელდა 24 მარტს. ასევე განაცხადა, რომ ორგანიზაციას მრავალწლიანი ისტორია აქვს, რომელიც 1950 წელს დაფუძნდა. სკოლის ამჟამინდელ ფუნქციებში შედის

ზრდასრული ასაკის, არა სკოლის მოსწავლეების ხელოვნების მიმართულებით მომზადება ძირითადად მუსიკის და ქორეოგრაფიის მიმართულებით. თექის მიმართულება ამ სკოლისთვის ახალი არ არის და დიდი ხანია ასეთ პროგრამებს არაფორმალური განათლების მიმართულებით ახორციელებენ და სასწავლო პროცესში მომზადებული შთამბეჭდავი ნივთები დაათვალიერეს ადგილზე ვიზიტის დროს. იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებაა „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“. გადამზადების პროგრამის წინაპირობად განისაზღვრა სრული ზოგადი განათლება, ასევე მუსიკალური განათლების 6-7 წლედის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე განაცხადა, რომ იქნება გასაუბრება, რომელიც ეფუძნება პროფესიული მიმართულების მოსინჯვის მეთოდს. პროგრამის სწავლის შედეგებად გათვალისწინებულია:

1. ქართული მუსიკალური ფოლკლორის შემადგენელი ელემენტების შესახებ ცოდის დემონსტრირება;
2. ქართული ხალხური სიმღერების შესრულება (მღერა);
3. ქართული ხალხური სიმღერის და საკრავის სმენით განსაზღვრა;
4. მუსიკალური უნარების განვითარება და მუსიკალურ-საგანმანათლებლო ამოცანების გადაჭრა;
5. მუსიკალური ფსიქოლოგიის ელემენტების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში;
6. მუსიკალურ-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა.

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „სამუსიკო ხელოვნება“ საფუძველზე და პროგრამის თემატიკები და შედეგები აღებულია ჩარჩო დოკუმენტის მოდულებიდან. ამდენად, თემატიკასთან, სწავლის შედეგებთან და პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით კითხვები არ გაჩენილა, ვინაიდან სკოლას ერთგარი სახელმძღვანელო ჰქონდა ჩარჩო დოკუმენტის სახით პროგრამის შესამუშავებლად. აღნიშნული პროგრამა მიეკუთვნება მეხუთე დონეს. პროგრამის ხანგრძლივობა შედგება 14 კვირისგან, საათების მიხედვით ჯამში - 210სთ. იურიდიული პირი ხელშეკრულების საფუძველზე უვადოდ სარგებლობს შენობით, რომელიც მდებარეობს ქ.ბათუმში გ.ტაბიძის ქ. N11. აღნიშნულ შენობაში დიდი ხანია ფუნქციონირებს სწავლება და ყველა უსაფრთხო ზომა არის დაცული, კერძოდ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნაც წარმოდგენილია. ადგილზე ხორციელდება პროგრამის, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტი.

ხარვეზები არ დაფიქსირებულა თუმცა აღნიშნა, რომ გაიცა რეკომენდაცია 3.4 ქვესტანდარტან დაკავშირებით, კერძოდ სასწავლო პროცესის მონიტორინგის და განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის შესაბამისობის კონტროლის მიზნით საგაკვეთილო პროცესზე და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დაკვირვება ხორციელდება პროგრამის განხორციელების განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, თუმცა აღინიშნა, რომ იგი ამავდროულად წარმოდგენილია „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორის“ გადამზადების პროგრამის განმახორციელებელ პირად, ამდენად ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა და ლოგიკურად მიიჩნის, რომ სასწავლო პროცესზე მას სხვა პირი უნდა დაესწროს, რომ მექანიზმები სრულყოფილად ამუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში. ლანა გაჩეჩილაძემ ასევე ისაუბრა დირექტორის შესახებ, რომელიც საკმაო აქტიურობით გამოირჩევა და მისი შრომითი წინარე გამოცდილება აძლევს მას შესაძლებლობას შეითავსოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა.

ასევე განაცხადა, რომ აღნიშნულ სკოლას ჰყავს პარტნიორები და დასაბუთების ნაწილში სამივე წარმოდგენილი პროგრამის მიმართულებით წარმოდგენილი აქვთ დოკუმენტი სადაც აღწერილია, რომ ხულოსა და შუახევის კულტურის ცენტრების კადრების მომზადება/გადამზადების მიზნებს ემსახურება შემუშავებული პროგრამები. ასევე, ბაღების გაერთიანების და აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ინტერესებს. მან განაცხადა, რომ ისინი აღნიშნულ პარტნიორებს მოიაზრებენ როგორც დამსაქმებლებს და მათთან გაფორმებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შემდგომში დასაქმების მიზნით. გამოკითხული ჰყავთ 555 წარმომადგენელი, ხოლო კვლევის შედეგებიდან ირკვევა,

მომზადება/გადამზადების მიმართულებით დამსაქმებლებმა გამოხატეს თანამშრომლობის სურვილი და მზაობა. აღნიშნულ პროგრამაზე ითხოვენ 15 ადგილს. ასევე, შენიშნა, რომ პრაქტიკის განხორციელების მიზნით არ თანამშრომლობენ ორგანიზაციებთან ვინაიდან პრაქტიკა იქნება ადგილზე. პროგრამის 80 % პრაქტიკას მოიცავს. ორგანიზაციას აქვს მრავალფეროვანი მუსიკალური საკრავები, რომლებიც ერთ ოთახშია თავმოყრილი. შენობა ძველია, თუმცა კედელზე ნახატები სიხალასეს სძენს გარემოს. ორგანიზაცია ელოდება ახალ შენობაში გადასვლას. განმახორციელებელი პირები აქტიურობით გამოირჩევიან, ჯამში 3 განმახორციელებელი პირი ჰყავთ, თუმცა ადგილზე ორთან მოხდა გასაუბრება. გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები და პირადი საქმეები, ამდენად კითხვები არ გასჩენიათ მათ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტმა, მედია თუთბერიძემ განაცხადა, რომ ეს სასწავლებელი ძალიან დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურება. მან მადლობა გადაუხადა, რადგან კიდევ ერთი პროგრამა იქმნება ამ მიმართულებით და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ განავითარონ ეს მიმართულება.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ მესხიშვილმა დასვა დამაზუსტებელი შინაარსის კითხვა, თუ რამდენად არის შესაძლებელი დისტანციურად შედგეს სწავლება და ასევე დაამატა, რომ აუცილებელია თუ არა პრაქტიკული გარემო.

შენიშნა, რომ იცნობს რამდენიმე ცნობილი უნივერსიტეტის პრაქტიკას ამ მიმართულებით და აქვთ ონლაინ სწავლება და დასძინა, რომ მათ აქვთ გამართული ელექტრონული სისტემა. სხვადასხვა ქვეყნებიდან ერთვებიან ადამიანები და სწავლობენ ზუმის საშუალებით. შესაძლოა ხმა არ დაემთხვეს და კომუნიკაცია ვერ შედგეს თუმცა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით პრაქტიკა არსებობს უცხოეთში და ერთვებიან სხვადასხვა საკრავებით. მან დასვა კითხვა, რამდენად შესაძლებელია ამის განხორციელება, რა ხედვა აქვთ ამ მიმართულებით.

სკოლის დირექტორმა ისაუბრა ბოლო ორი წლის შედეგებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ქართული ხალხური მუსიკა უნდა ისწავლებოდეს პრაქტიკაში აუდიტორულ გარემოში.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ /01319/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - „ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი“ /01319/ (დანართი 1).

2. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „თექის ნაწარმის და აქსესუარების დამზადება“ /01318/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა.

პროგრამის სახელწოდებაა „თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადება“. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „მხატვრული ქსოვილების“ საფუძველზე და აღნიშნა, რომ ხარვეზი და რეკომენდაცია არ დაფიქსირებულია. პროგრამა შედგება 18 კვირისგან. მსმენელთა ზღვრული რაოდენობა არის - 15. დამზების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, ეს პროგრამა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის მიხედვით მიეკუთვნება - მესამე დონეს. აღნიშნულ პროგრამაზეც პრაქტიკა ადგილზე მიმდინარეობს. A და C გარემო აქვთ შექმნილი, რომელიც ფოტოების სახით საბჭოს წარუდგინა. ჰყავთ ორი განმახორციელებელი პირი თუმცა აღნიშნა ისიც, რომ მხოლოდ ერთ მათგანთან მოხერხდა გასაუბრება და დადასტურდა, რომ საკმაოდ ძირფესვიანად იცნობდა პროგრამას და ასევე დადასტურდა მისი კვალიფიკაცია ამ დარგში. ვიზიტის დროს დაათვალიერეს არაფორმალურ განათლებაში მსგავსი შინაარსის მიმდინარე პროგრამის ფარგლებში შექმნილი რესურსები. განმახორციელებელმა პირმა ფაქტობრივად პატარა მასტერკლასი ჩაატარა და ვიზიტის დროს დეტალურად მოხდა პროცესების გაცნობა. ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ საკმაოდ ნაყოფიერი ვიზიტი იყო. ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ C გარემოში არის სველი წერტილი, რადგან თექას როგორც მშრალი, ასევე სველი დამუშავებით ამზადებენ. ამდენად საჭიროა თბილი წყალი, საპონის მოხმარება, მაგიდის სპეციალური ზედაპირი, რადგან არ დასველდეს და არ დაზიანდეს გარემო და ეს ყოველივე გათვალისწინებულია.

სასწავლო ლიტერატურა წარმოდგენილია სრულყოფილად. ასევე განაცხადა, რომ ბიბლიოთეკაც აქვთ ადგილზე და რესურსები ხელმისაწვდომია მსმენელთათვის. საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ქალბატონმა მარიკა ზაქარეიშვილმა დასვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის მოთხოვნა ზემოთ აღნიშნულ სპეციალისტებზე, როგორი მიმართვიანობაა ამ კუთხით აღნიშნულ დაწესებულებაში. აქვე შენიშნა, რომ ეს თავისთავად კარგი საქმეა, თუმცა აინტერესებდა მაგალითად ამ მიმართულებით რა პროდუქციაა უფრო მოთხოვნადი და აინტერესებდა თუ ჩაატარა დაწესებულებამ ასეთი ტიპის კვლევა.

ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ რადგან ამ მიმართულებით ორგანიზაციას გამოცდილება აქვს, ჰყავს კურსდამთავრებულებიც. პროგრამის მიზნებისთვის აქვთ საკერავი მანქანები და გასაუბრების დროს განმახორციელებელმა პირმა აღნიშნა, რომ დახვეწილი პროდუქტი რომ გამოვიდეს საჭიროა სარჩულის დამზადება. აღნიშნულ პროგრამაზე საკერავი მანქანის მინიმალურ გამოყენებასაც ასწავლიან, რადგან გაყიდვადი და კონკურენტუნარიანი იყოს მათი შექმნილი ნაწარმი. ქალბატონმა ლანამ აღნიშნა, რომ ეს კითხვა დაწესებულებაშიც დასვა და დაწესებულებას სწორედ ამ მიზნების მიხედვით აქვს გათვალისწინებული საკერავი მანქანები. სკოლის დირექტორმა, ბატონმა ვახტანგ ბერიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული სკოლა არის ერთადერთი, რომელიც ახორციელებს მსგავსს პროგრამებს არამარტო აჭარაში, არამედ მთელ

დასავლეთ საქართველოში. აქედან გამომდინარე მათ აქვთ რეწვის ოსტატებთან, ბაზართან შემხებლობა. მან ასევე ახსენა ბათუმი, როგორც ტურისტული ქალაქი, აჭარა - როგორც ტურისტული რეგიონი, სადაც უამრავი ადამიანი ჩამოდის სტუმრად, რომლებსაც აინტერესებთ ქართული დეტალებით გაჯერებული სუვენირების თუ სხვა სასაჩუქრე და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელი ნივთების შექმნა. უპასუხა კითხვას, რომ მათ ნამდვილად აქვთ ამ მიმართულებით მიმოხილვა გაკეთებული და აღნიშნა, რომ ეს მიმართულება საკმაოდ მოთხოვნადი და ადვილად გასაყიდია.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა სკოლას წელიწადში, რამდენი ადამიანი მოუმზადებია, რამდენი იყო მსურველი წლის განმავლობაში. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მანამდე ახორციელებდნენ ორ წლიან პროგრამას რეწვის მიმართულებით რომელიც მოიცავს ქსოვას, კერვას, ქარგვას, სამკაულებზე მუშაობას, ყველაფერს, რასაც რეწვა მოიცავს. წელიწადში სკოლას აჰყავს 16 ადამიანი და აღნიშნა ისიც, რომ ყოველწლიურად კონკურსანტი არის იმაზე მეტი ვიდრე უნდა აიყვანონ და სურვილი დიდია. აქვე აღნიშნა, რომ ორგანიზაციამ პირველად შემოიტანა განაცხადები მომზადების და გადამზადების პროგრამების უფლების მოპოვების თაობაზე, თუმცა მრავალწლიანი სწავლების გამოცდილება აქვთ. ჯერ კიდევ 1953 წლიდან არიან ბაზარზე და ადრე კულტურის კოლეჯად მოიხსენებოდა. 2010 წელს ჩატარებული რეფორმით კოლეჯი გაუქმდა და სწორედ ამის შემდეგ დაფუძნდა ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა, რომელიც არის აჭარის განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებული, შესაბამისად განაცხადა რომ მათ აქვთ 100%-იანი დაფინანსება.

ქალბატონმა მარიკა ზაქარეიშვილმა რეკომენდაცია მისცა სკოლას, რომ მუდმივად იყოს ბაზარი შესწავლილი თუ რანაირი ახალი ფორმები შეიძლება მიეცეს თექას, რომ არც ტრადიცია დაიკარგოს და თან ძალიან განსხვავებული იყოს ეს ნაწარმი. მან ასევე აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი ერთნაირი ნაწარმია წარმოდგენილი გასაყიდად, ძირითადად თექის ფეხსაცმელი, შარვები და ა.შ. მან აღნიშნა, რომ ეს არის ეროვნული საქმე და მათ აქვთ შესაძლებლობა შექმნან მრავალფეროვანი ნაწარმი.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „თექის ნაწარმის და აქსესუარების დამზადება“ /01318/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „თექის ნაწარმის და აქსესუარების დამზადება“ /01318/ (დანართი 2).

3. ა(ა)იპ აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი“ /01320/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა მაცვალა დარსანიამ. საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა დარგის ექსპერტი- უჩა დვალიშვილი.

პროგრამის სახელწოდებაა „ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი“, პროგრამის სახეა- როფესიული გადამზადების პროგრამა. პროგრამა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონეს მიეკუთვნება. პროგრამის ხანგრძლივობად განისაზღვრა 34 კვირა. სწავლების ენა - ქართული. პროგრამის მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 15. მისამართი არის ქ.ბათუმი გალაქტიონ ტაბიძის ქ N11. ქალბატონმა მაცვალამ აღნიშნა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა თუმცა შემუშავდა რეკომენდაციები, კერძოდ პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით 1.2 ქვესტანდარტში - პროგრამის სახელწოდება უნდა გამომდინარეობდეს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან, თუმცა უფრო მართებულია პროგრამის სახელწოდება შეიცვალოს და პროგრამას - “ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი” დაერქვას. ასევე განაცხადა, რომ ვინაიდან ქორეოგრაფი ეწევა პედაგოგიურ, სარეპერტუარო და სადადგმო მოღვაწეობას, ხოლო რეპეტიტორი არის დამდგმელი ქორეოგრაფის დამხმარე, რომელიც ეწევა სარეპეტიციო მუშაობას მოცეკვავეებთან, ასწავლის ქორეოგრაფიულ პარტიებს თითოეული შემსრულებელს ცალ-ცალკე, აღწევს ნამდვილი სახის გახსნას, გამომსახველობას და მოძრაობის სილამაზეს. ასევე ანსამბლურობას, ასწავლის და არეპეტიციებს ანსამბლს, დამდგმელი ქორეოგრაფის მიერ შექმნილი ქორეოგრაფიის მიხედვით. ქალბატონმა მაცვალამ ასევე განაცხადა, რომ მეორე და მესამე სტანდარტი იგივეა, რაც სხვა წარმოების ფარგლებში იყო. ასევე, აღნიშნა ისიც რომ საჭიროების დასაბუთება ერთიანი სახით იყო წარმოდგენილი, სადაც სამივე პროგრამასთან მიმართებაში იყო საჭიროების დასაბუთება. ქალბატონმა მაცვალამ ასევე ისაუბრა პროგრამის მიზანზეც, რომელიც შეფასდა, როგორც მკაფიოდ ჩამოყალიბებულ და შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, რადგან მასში მკაფიოდ ასახულია შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ქორეოგრაფ-რეპეტიტორის საჭიროება. გარდა ამისა, აღინიშნა ისიც, რომ წინაპირობები სწორად არის განაწილებული. პროგრამის მეტი წილი არის პრაქტიკული კომპონენტი, ვიდრე თეორიული კომპონენტი. პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრულ სწავლების შედეგების ადეკვატიურია და დასძნია ისიც, რომ სულ მოიცავს 280 საათს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები:ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, ინსტრუქტაჟი. აღინიშნა, რომ სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას, მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.განმავითარებელი შეფასება არის ყოველ კვირას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება აქვთ გათვალისწინებული ყოველი სწავლის შედეგის დასრულების შემდეგ.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა იურიდიული პირის წარმომადგენლებს, თუ რას ფიქრობდნენ სახელწოდებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ნამდვილად სწორი ფორმაა რეპეტიტორ-ქორეოგრაფი და ეთანხმება შეთავაზებულ რეკომენდაციას.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა დასვა შემდეგი კითხვა, რომ სიტყვათაწყობას შეეხებოდა ეს რეკომენდაცია თუ სხვა დატვირთვაც ექნებოდა აღნიშნულ რეკომენდაციას, იკითხა რას ცვლის სიტყვების თანმიმდევრობა.

მაყვალა დარსანიამ განმარტა, რომ სიტყვათა თანმიმდევრობა ნაწილობრივ ცვლის არსს, რადგან შეცდომაში შემყვანი იქნება სიტყვების ასეთი თანმიმდევრობა იმიტომ, რომ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებულია, როგორც რეპეტიტორ-ქორეოგრაფი. რაც ქორეოგრაფმა შეიმუშავა და დადგმა განახორციელა იმას ასწავლის შემდეგ, ქალბატონმა მაყვალამ აღნიშნა, რომ ამ მოსაზრებას ეთანხმება დარგის ექსპერტიც. იურიდიული პირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქორეოგრაფ-რეპეტიტორის სიტყვების თანმიმდევრობა ერთგავრი ხრიკია, კარგად ჟღერს, რომელიც იზიდავს ადამიანებს, გარდა ამისა აღნიშნა ისიც, რომ სტრუქტურულად და შინაარსობრივად სწორი ფორმა არის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი. ქალბატონმა ლანა გაჩეჩილაძემ დაადასტურა, რომ პროგრამის სახელწოდების ამგვარ ცვლილებაზე საუბარი და შეთანხმება ვიზიტის დროსვე შედგა ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და დარგის ექსპერტს შორის.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლისთვის „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ /01320/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ - აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას (ს/კ: 445391736) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - „ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“ /01320/ (დანართი 3).

საბჭოს სხდომას ტექნიკური პრობლემის გამო ვერ შემოუერთდა დარგის ექსპერტი ზაირა ბერიძე, საბჭოს თავმჯდომარემ ინიციატივით მიმართა საბჭოს, შეცვლილიყო დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო 2 საკითხის თანმიმდევრობა. აღნიშნულს დაეთანხმა საბჭო.

4. შპს პირველი ფიტნეს აკადემიისთვის „ფიტნეს ინსტრუქტორი“ /01315/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მომზადების პროგრამის სახელწოდებაა “ფიტნეს ინსტრუქტორი”. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია ავერსის კლინიკის მფლობელობაში არსებულ შენობაში, მისამართზე ქ. თბილისი ალ.ყაზბეგის გამზირი N16. აღნიშნა ისიც, რომ აღნიშნულ მისამართზე ხორციელდება პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი. ეროვნული კვლიფიკაციის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით პროგრამა განეკუთვნება მეოთხე დონეს. პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა, სწავლების ენაა -ქართული. მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა -30. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და მითითებული აქვთ გასაუბრება პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კუპერის ტესტის გაკეთებას ფიქრობდნენ, სქესობრივ და ასაკობრივ ჭრილში. ასევე, აღნიშნა ისიც, რომ ტესტი ჯერ შემუშავებული არ არის, ხოლო რეკომენდაციის სახით გაიცა დროულად შეემუშავებინათ ეს ტესტი.

დაფიქსირდა **ხარვეზი - 1.2 ქვესტანდარტთან** მიმართებით, კერძოდ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფიტნეს ინსტრუქტორი წარმოადგენს ამ დარგის ერთ-ერთ კატეგორიას (ფიტნეს ასისტენტი, ჯგუფის ინსტრუქტორი, პერსონალური მწვრთნელი და ა.შ) მისი უფლებამოსილება არ არის საწვრთნელი პროცესის წარმართვა და არ აქვს/გააჩნია პირად მწვრთნელად ან ჯგუფის ინსტრუქტორად მუშაობის კომპეტენცია. პროგრამის დასრულების შემდეგ პირი შეძლებს მუშაობის გაგრძელებას, როგორც სატრენაჟორო დარბაზის ფიტნეს ინსტრუქტორად. დარგის ექსპერტის დასკვნაა, რომ ეს სახელწოდება სრულყოფილად არ შეესაბამება პროგრამას.

გაიცა რამდენიმე **რეკომენდაცია**:

1.1 ქვესტანდარტის მიხედვით რეკომენდირებულია, ორგანიზაციამ პროგრამის საჭიროების უკეთესად დასაბუთების მიზნით გამოიკვლიოს კონკრეტული სამიზნე ჯგუფები დამსაქმებლებსა და მოსახლეობას შორის, რათა გამოიკვეთოს მათი საჭიროებები თუ რა კომპეტენციების მქონე კადრების დეფიციტია შრომის ბაზარზე და კონკრეტული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაუმჯობესდეს პროგრამა.

აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მიმართა 35 ფიტნეს კლუბს, თუმცა , როგორც განმარტეს, მაღალი კონკურენციის გამო მათთან თანამშრომლობა არ შედგა . მათ ჰქონდათ განაცხადში საჭიროების დასაბუთების მიზნით Youtube ლინკი, სადაც ვიდეო რგოლი იყო განთავსებული შემდეგი შინაარსით - ქვეყნის ცნობადი სახეები პირად სურვილს გამოთქვამენ, რომ ქვეყნის ფარგლებში არსებობდეს კვალიფიცირებული ფიტნეს ინსტრუქტორი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. სანამ დასკვნა დაიწერებოდა დაწესებულებამ ექსპერტს მიაწოდა კვლევა 60 მოქალაქის, რომელთაგან 88% მიიჩნევს, რომ უნდა არსებობდეს საერთაშორისო სტანდარტის მქონე კვალიფიცირებული ფიტნეს ინსტრუქტორი. კვლევის ინსტრუმენტი, რომელიც დაწესებულებამ ექსპერტს წარუდგინა ნაკლებად შედეგიანად შეფასდა, რადგან პირდაპირ „დიახ” და „არა”-ს მონიშვნას აფიქსირებდა. ვინაიდან ერთ კითხვიანი კითხვარი ნაკლებად სანდოა, მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ დარჩენილიყო ეს რეკომენდაცია.

ვინაიდან პროგრამის დასაბუთების სხვადასხვაგვარი მცდელობა ჰქონდა წარმოდგენილი ორგანიზაციას და დარგის ექსპერტი მკაფიოდ აფიქსირებდა, რომ მსგავსი პირების კვალიფიკაციის ნაკლებობაა შრომით ბაზარზე არ დახარვეზდა ქვესტანდარტი და გაიცა რეკომენდაცია.

1.2 ქვესტანდარტი ებმის ხარვეზს და მიიჩნევს, რომ რეკომენდირებულია სახელწოდებაში მიეთითოს სატრენაჟორო დარბაზის ინსტრუქტორი.

1.7-1.9 ქვესტანდარტი, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია პროგრამის ხანგრძლივობა იყოს 150 საათი და აქედან 60% მაინც პრაქტიკული ნაწილი იყოს, რაც უნდა ჩანდეს პროგრამის აღწერაში.

1.9 ქვესტანდარტის მიხედვით მიიჩნევს, რომ რეკომენდირებულია საერთაშორისო პარტნიორის (“აქტიური ევროპა”) ჩართულობა, საქართველოში არსებული წარმომადგენლობის დახმარებით (“აქტიური საქართველო”), რაც შესაძლებელია ამ ეტაპზე დაადასტურებდეს გაფორმებული მემორანდუმის სახით. ეს პარტნიორობა გაზრდის პროგრამის ავტორიტეტს და კურსდამთავრებულებს მისცემს საშუალებას სურვილის შემთხვევაში, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ მიიღონ საერთაშორისოდ აღიარებული შესაბამისი სერტიფიკატები.

1.8 ქვესტანდარტი, კერძოდ მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ უფრო ხშირად იქნას გამოყენებული პრაქტიკული სავარჯიშოები სწავლებისას. ეს გააუმჯობესებს მსმენელთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. სასურველად ჩაითვალა სწავლების მეთოდების ქეისების განხილვა და კეთებით სწავლის მეთოდი. ასევე, აღნიშნა ისიც, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მეთოდის გამოყენება პრაქტიკის სწავლების დროს C გარემოში.

2.3 ქვესტანდარტის მიხედვით რეკომენდირებულია, ყველა სასწავლო რესურსის თითო ასლი ბეჭდური სახით ხელმისაწვდომი იყოს მსმენელისთვის.

ორგანიზაცია ფლობს ავერსის კლინიკის მფლობელობაში არსებულ გარემოს, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული სწავლებისთვის. A და C გარემო მდებარეობს ერთ მისამართზე სხვადასხვა შენობაში თუმცა მარტივია გადაადგილება. ერთ შენობაში განთავსებულია საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც თეორიული მომზადებისთვის გამოიყენება. ერთდროულად 30 ადამიანის სწავლებაა შესაძლებელი, მაგრამ ფიქრობენ რომ 15 სტუდენტზე მეტი არ ეყოლება არც თეორიულ და პრაქტიკული სწავლების დროს. ასევე არის ადმინისტრაციის კუთხეც, ცალკე გამოყოფილი. ორ სართულს მოიცავს, სადაც ტრენაჟორებია განლაგებული. საერთო ჯამში ფიქრობს რომ 15-ზე მეტ სტუდენტსაც შეიძლება სწავლება გაეწიოს. პროგრამის კვირეული საათობრივი დატვირთვა ძირითადად 12 საათიანია და ჯამში 141 საათია დათმობილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს და ჰკითხა რა არის გამოსასწორებელი და რა ვადაში შეძლებენ ხარვეზის აღმოფხვრას. დარგის ექსპერტი, ვალერი გულბანი ყველას მიესალმა და აღნიშნა ის, რომ ჯანმრთელობა ყველა ასაკის ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესია და გაუსვა ხაზი ჯანმრთელობის აქტუალობას. დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ყველა გადასულია ჯდომით რეჟიმზე, ადამიანები ნაკლებად მოძრაობენ, აქტიური ცხოვრების წესით ნაკლებად არიან ადამიანები დაკავებულები და მიიჩნევს, რომ ეს პროგრამა თავის წვლილს შეიტანს აღნიშნული მიმართულებით. დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ერთადერთი ხარვეზი სახელწოდებასთან დაკავშირებით იქნა მიჩნეული. დარგის ექსპერტმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მსოფლიოში არსებული პრაქტიკა. განმარტა, რომ არსებობს მეორე დონის, უფრო დაბალი დონის საკვალიფიკაციო ჩარჩოს პროფესია, რომელსაც ფიტნეს ასისტენტი ეწოდება. ამ პროგრამაში მოცემული იყო ის საკითხები, რომელიც შეესაბამებოდა ფიტნეს ასისტენტს, ვიდრე ფიტნეს ინსტრუქტორს. საქართველოში არ არსებობს ფიტნეს ასისტენტის კვალიფიკაციის მიმართულებით პროგრამა, რომ მსურველმა ჯერ გაიაროს ფიტნეს ასისტენტის პროგრამა და შემდეგ ფიტნეს ინსტრუქტორის. ამიტომ ლოგიკურად მიიჩნევს რომ დაიწყოს პირველი საფეხურიდან, ქვემოდან მეორე დონიდან და სურვილის შემთხვევაში განაგრძონ პროფესიული მომზადება კვალიფიკაციების მიხედვით. ფიტნეს ასისტენტის კვალიფიკაცია ზუსტად მოდის მიზნებთან, შედეგებთან და ამოცანებთან. მოახდინოს უსაფრთხო ვარჯიშების მართვა, ახსნას ვარჯიშის სხვადასხვა სისტემები და პროგრამები, მოახდინოს მოვარჯიშე პირების

დაკვირვება, გაცნობა სხვადასხვა ინვენტართან, ზედამხედველობა სპორტულ ცენტრებში, სასრუმროს ცენტრებში და ხელი შეუწყოს წევრების რეგულარულად დასწრებას. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი არ დააფიქსირეს, რადგან სწორი მიდგომა დაფიქსირდა აპლიკანტის მიერ დასაბუთების ნაწილში, სხვა რეკომენდაციებშიც რაც გაცემულ იქნა მათ მიერ, როგორც საათებთან მიმართებაში ასევე კითხვარებთან დაკავშირებით, საკმაოდ სწორი მიმართულება ჰქონდათ აღებული. თუმცა აღნიშნა რომ საჭირო იყო მეტი დასაბუთება და საათების რაოდენობის გაზრდა.

ლანა გაჩეჩილაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ავერსის კლინიკის მიერ ჰქონდათ კორესპონდენცია წარმოდგენილი რომელშიც წერია, სარეაბილიტაციო ცენტრს წელიწადში 15-20 პაციენტი მიმართავს სწორედ იმ დაზიანებების გამო, რასაც არაკვალიფიციური ფიტნეს ინსტრუქტორები აზიანებენ, აღნიშნა ისიც, რომ ეს იყო პარტნიორი ორგანიზაციის შიდა წერილი, ამდენად სხვა ორგანიზაციების დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა იქნა რეკომენდირებული.

ქალბატონ ნანის კითხვა გაუჩნდა, იმასთან დაკავშირებით, რომ რეკომენდაციის სახით დარგის ექსპერტს გაწერილი აქვს ის, რომ დაწესებულებამ დაამყაროს კონტაქტი ორგანიზაცია „აქტიურ საქართველოსთან“, რამდენად ობიექტურად და სწორად მიაჩნდა ექსპერტს ეს იმ დროს, როდესაც დარგის ექსპერტი თავადაა „აქტიური საქართველოს“ ორგანიზაციის წარმომადგენელი. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ 4 წელია წამოადგენს აღნიშნულ ორგანიზაციას და მეორე ვიზიტია მისთვის ექსპერტის სტატუსში. ასევე აღნიშნა, რომ გამჭვირვალობისთვის ყოველთვის უწერია, რომ წარმოდგენს „აქტიურ საქართველოს“. რეკომენდაციის მიზანი პირველ რიგში იყო ის, რომ აღნიშნულ დაწესებულებას ჰყოლოდა საერთაშორისო პარტნიორი ფიტნესის მიმართულებით. დარგის ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ თავად დაწესებულებას ჰქონდა განაცხადში მითითებული არა საორიენტაციო ე.წ გაიდლაინი, რომ ევროპა ატივთან აპირებდნენ ამ პროგრამის თანხვედრას არამედ ფაქტად ჰქონდათ მოყვანილი, რომ არსებობს ევროპაში ორგანიზაცია, რომელსაც თავისი საკვალიფიკაციო ჩარჩო აქვს და თავისი რეკომენდაციები აქვს ამ მიმართულებით. სწორედ ამიტომ დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ევროპა აქტივთან აკრედიტირებულ ორგანიზაციასთან დაემყარებინა კავშირი. დარგის ექსპერტმა შესთავაზა დახმარება ამ მიმართულებით იმიტომ, რომ ატიური საქართველო არის ერთადერთი ორგანიზაცია, წევრი ევროპა აქტივის, თუმცა ეს არ გულისხმობს შპს პირველი ფიტნეს აკადემიასთან ფორმალური თანამშრომლობას, ეს არის უბრალოდ მედიაცია ევროპა აქტივთან, ევროსაბჭოს ამ სტრუქტურასთან, რომელიც ყველაზე ავტორიტეტული სტრუქტურას ფიტნესის და ჯანსაღი ცხოვრების მიმართულებით. გამომდინარე იქედან, რომ ამჟამად საქართველოში მხოლოდ ერთადერთი ორგანიზაციაა „აქტიური საქართველო“, დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ შესთავაზეს ამ მიმართულებით დახმარება. ბოლოს განაცხადა, რომ ეს ორგანიზაციის გადასაწყვეტია თუ ვისთან ითანამშრომლებენ.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ სამწუხაროა სხვა კოლეგების საქციელი იმასთან დაკავშირებით, რომ კვლევის მიზნებისთვის პასუხი არ გასცეს დაწესებულებას, ადამიანებს რომლებიც კარგ საქმეს აკეთებენ. საბჭოს წევრმა რეკომენდაციის სახით განმარტა, რომ ტექსტის, დასაბუთების ნაწილში კარგად უნდა აიკინძოს არგუმენტები. მაგ. ავერსს რამდენმა ადამიანმა მიმართა, რომელიც მსხვერპლი იყო არასწორი ვარჯიშის. ასევე აღნიშნა, რომ შეიძლება არგუმენტად გაიწეროს ის ერთ კითხვიანი კვლევა, ოღონდ კარგად უნდა იყოს აკინძული ეს არგუმენტები დასაბუთების ნაწილში. დაუსვან ფიტნეს ინსტრუქტორებს, როგორც დამსაქმებლებს წელიწადში რამდენი მომზადებული კადრი სჭირდებათ და რამდენს ვერ იღებენ. განაცხადა, რომ ეს იქნებოდა ყველაზე კარგი დასაბუთება. კარგი იქნებოდა მოძებნილიყო სხვა ქვეყნებში როგორ, რა რაოდენობით არის დასაქმების მაჩვენებელი ამ მიმართულებით. მანვე განმარტა, რომ ეს რელევანტური არ იქნებოდა საქართველოს შრომის ბაზრის კვლევისთვის, მაგრამ კარგი იქნებოდა ზოგადი ინფორმაციისთვის. ასევე კარგი იქნებოდა ისევე ადგილობრივ დამსაქმებლებთან დაკავშირება და თუ ეს დამსაქმებელი კიდევ

არ უპასუხებდნენ აეკინმათ ის ინფორმაცია რაც გაჟღერდა. მეორე კითხვა უკავშირდებოდა ხარვეზს დასახელებასთან დაკავშირებით, დაზუსტება სურდა თუ სწორად გაიგო აღნიშნული პროგრამის შედეგები შეესაბამებოდა თუ არა ფიტნეს ასისტენტის პროფესიას.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, მარკეტინგულად ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ რომ სწორი იქნებოდა პროგრამის დასახელება - ფიტნეს ინსტრუქტორი და არა ფიტნეს ასისტენტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეეცადნენ „დარბაზის ფიტნეს ინსტრუქტორი“-ს ფორმულირება მიეცათ პროგრამის დასახელებისთვის. დარგის ექსპერტმა გადაამოწმა პარტნიორ ორგანიზაციაში, რამდენად შეესაბამებოდა ეს სახელწოდება (დარბაზის ფიტნეს ინსტრუქტორი) და მილო პასუხი რომ არ შეესაბამებოდა, რადგან ფიტნეს დარბაზის ინსტრუქტორი ისევე, როგორც დარბაზის ინსტრუქტორი მიეკუთვნება მესამე დონეს საერთაშორისო სტანდარტით.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ თუკი დავიცავენ ბალანსს და საერთაშორისო სტანდარტს მიყვებიან ამ პროგრამით მომზადებულ ადამიანს სხვა ქვეყანაშიც ექნება დასაქმების შესაძლებლობა. აღნიშნა ისიც, რომ აპლიკანტის გადასაწყვეტია სურს ევროპულ კვალიფიკაციის ჩარჩოს დაეთანხმოს თუ მარკეტინგულ გათვლებს. დარგის ექსპერტმა აღნიშნა რომ თავიდანვე ჰქონდათ კითხვართან დაკავშირებით შენიშვნა. აღნიშნა, რომ სასურველია მეტად ინფორმატიული იყოს საჭიროა თუ არა კვალიფიკაციური ინსტრუქტორი ამ სფეროში ყველა იტყვის რომ არის, მაგრამ რას გულისხმობენ კვალიფიციურში, ვის გულისხმობენ, ვის მიერ აღიარებული, რა დონის კვალიფიკაციაა, ბევრი ნიუანსია რომელიც ერთი კითხვით არ გამოძღვანდება.

მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით პროგრამის სახელწოდების და შინაარსის ხარვეზის გამოსასწორებლად 30 დღიანი ვადის მიცემა შეიძლებოდა, განახლებული პროგრამის წარმოსადგენად ეს ვადა სავსებით საკმარისად მიიჩნია.

სხდომის თავჯდომარემ სიტყვა გადასცა ორგანიზაციის წარმომადგენელს. დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა შანსის მიცემისთვის და რეკომენდაციებისთვის. მან აღნიშნა რომ თავიდანვე დასახელებული ჰქონდა „ფიტნეს ინსტრუქტორი“, მაგრამ აღნიშნა რომ გაჩნდა ამბიცია სერტიფიკატებს ჰქონდეს საერთაშორისო ძალა და აღნიშნა, რომ დღეს ბაზარზე პირველივე კითხვას სწორედ ამ მიმართულებით უვამენ, კერძოდ დასაქმდებიან თუ არა საზღვარგარეთ აღნიშნული სერტიფიკატით. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დღესდღეობით არ არსებობს საგანმანათლებლო სტრუქტურა, რომელიც ახდენს ასეთი ფიტნეს ინსტრუქტორების, ასევე პერსონალური მწვრთნელების მომზადება/გადამზადებას. ასევე აღნიშნა, რომ არის ტრენინგ ცენტრები, რომლებიც 60 საათიანი პროგრამებისგან შედგება და აღნიშნა რომ 60 საათში ადამიანი ასეთ პროფესიას ვერ აითვისებს. განაცხადა, რომ აღნიშნულ აკადემიას ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები, სპორტული ექიმები, სპოტსმენები ყველანაირი შესაძლებლობაა მსმენელმა მიიღოს ხარისხიანი განათლება. მან ასევე აღნიშნა, რომ ბაზარი ძალიან განვითარებულია ამ მიმართულებით, თუმცა არსებობს კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობა. მან აღნიშნა, რომ მათ სურთ აღნიშნული ბაზარი შეავსონ კვალიფიკაციური კადრებით. აღნიშნა, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად ითანამშრომლებენ ევროპა აქტივთან და განახლებულ პროგრამას წარმოადგენენ თუ ამის შესაძლებლობას საბჭო მისცემდა ორგანიზაციას.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პირველი ფიტნეს აკადემიისთვის „ფიტნეს ინსტრუქტორი“ /01315/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

შპს პირველ ფიტნეს აკადემიას (ს/კ: 405421770) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ფიტნეს ინსტრუქტორი /01315/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდეგ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი თორნიკე ჯობავა.

5. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სამგზავრო გემის მიმტანი“ /01310/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა- ზაირა ბერიძემ. მან აღნიშნა, რომ შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს სურს დაიმატოს მომზადების პროგრამა „სამგზავრო გემის მიმტანი“. ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 24 მარტს. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 60, პირველ ეტაპზე გეგმავენ ერთდროულად 40 მსმენელის მიღებას და როცა ჯგუფები პრაქტიკებზე გადავა ამ დროისთვის შესაძლებელი იქნება ახალი ჯგუფის მიღება, ამდენად თითოეულ ჯგუფში 20 მსმენელი იქნება. პროგრამის ხანგრძლივობა 16 კვირა (379 სთ) I-X კვირა თეორია, პრაქტიკა (დარგი); XI-XVI საზღვაო თემატიკა. მას შემდეგ რაც დარგობრივი კომპონენტი იქნება დასრულებული მსმენელები გადადიან ახალ ეტაპზე სადაც საზღვაო თემატიკის მიმართულებით იქნება ლექციები.

რაც შეეხება პროგრამასთან დაკავშირებით დაფიქსირებული განმავითარებელი რეკომენდაციებს, რეკომენდირებულია ადაპტირდეს კითხვარები. დაწესებულებას პროფესიული მიმართულებით აქვს შემუშავებული კითხვარები, რეკომენდაცია იყო მომზადება /გადამზადების პროგრამის ჭრილში.

ვიზიტის დროს გასაუბრება შედგა როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებთან და უშალოდ პროგრამის განმახორციელებლებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინასწარ იცოდნენ მათი კვალიფიკაციების შესახებ, რომლებსაც დოკუმენტების სახით გაეცნენ, ეს ასევე ადგილზე, ვიზიტზეც იქნა შესწავლილი და ექსპერტი

ადასტურებს რომ სრულ თანხვედრაშია იმ მოთხოვნილ კრიტერიუმებთან, რომლებიც პროგრამის ფარგლებშია საჭირო. რაც შეეხება მატერიალურ რესურს დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას განახორციელებს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. ადგილზე მხოლოდ თეორიული კომპონენტის განხორციელებაა დაგეგმილი, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი სამ პრაქტიკის ობიექტზე იქნება გადანაწილებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის პრაქტიკული ნაწილი მნიშვნელოვანი იყო გასაუბრების დროსაც, რადგან პროგრამა ხორციელდება სხვადასხვა ეტაპით. სხვადასხვა ობიექტზე ხორციელდება პრაქტიკა და გასაუბრების დროსაც ეს იყო მნიშვნელოვანი მათთვის, რამდენად ჰქონდა დაწესებულებას გააზრებული ის თუ რა სიხშირით მოუწევდა მსმენელების ერთი ობიექტიდან მეორე ობიექტზე გადაყვანა და მერე უკვე მათი გადაყვანა სააგენტოში. თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციებია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, “საბლე”, “გრილ თაუნი”, “ალავერდი”, რომლებიც ცალსახად პროგრამაში არიან ჩართული. ექსპერტმა ასევე აჩვენა ფოტო მასალა, რომელიც ვიზიტზე ყოფნის დროს გადაიღო. დაწესებულების ბაზაზე არის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიმულაციური გარემო მოწყობილი, რომლითაც სმენელებს ექნებათ საშუალება პირველადი ინფორმაცია მიიღონ და გამოიყენონ არსებული აღჭურვილობა. დაწესებულებას ჰქონდა სააგენტოსთან ერთად წარმოდგენილი იმ კომპონენტების გავლის აუცილებლობა, რომლებიც საერთაშორისო საზღვაო აკადემიის მიერ არის რეკომენდირებული და ცალსახად აუცილებლობას წარმოადგენს პროგრამის სრულყოფაში. მათ შორის ეს რეკომენდაცია წერილობითაც დასტურდება. წარმოდგენილი იყო პარტნიორი ორგანიზაციების ფოტო მასალა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს კომპანიები ცალსახად იძლევა იმის საშუალებას განხორციელდეს მხოლოდ ის პრაქტიკული კომპონენტები, რომლებიც საჭიროა დარგობრივი ჭრილის განვითარებისთვის.

საბჭოს წევრს, გიორგი გამყრელიძეს გაუჩნდა კითხვა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ პირველი კითხვა ეხებოდა შრომის ბაზრის კომპონენტს წევრს თუ რამდენად მოთხოვნადია ეს მიმართულება. კითხვის დასმისას ასევე აღნიშნა, რომ კვლევა ჩატარდა ამ მიმართულებით კერძოდ ეს მოიცავდა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის მიმართულებას, ჰქონდათ როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდი. ასევე აღნიშნა, რომ ძალიან დიდი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა საზღვაო სფეროს წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრისთვის მოუღებდნენლობა გამოიწვია, რადგან როგორც აღნიშნა მსგავსი პროფესიული ჯგუფი, რაც სამგზავრო გემების მიმტანებს შეეხება იგივე რეკრუიტერების მხრიდან აღნიშნულ შეხვედრების დროს არ დაფიქსირებულა. როგორც მისთვის ცნობილია დიდი საკრუიზო გემები საქართველოს არ ჰყავს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ არანაირი გემი არ ჰყავთ, თუმცა აღნიშნა, რომ საქართველოში 12000 მეზღვაურია რეგისტრირებული, რომელიც მუშაობს. გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ იმ სფეროებში, რომლებიც რეგულირებულია ეს ყველაფერი კარგად არის მოცემული. რაც შეეხება პროფესიულ ჯგუფს, რომელშიც შედის სამგზავრო გემებთან დაკავშირებით მიმტანები აღნიშნა, რომ არც კვლევამ მოახდინა იდენტიფიკაცია და კარგი იქნებოდა თუ ამაზე გასცემდნენ პასუხებს. შენიშნა, რომ მისთვის საინტერესოა ის კვალიფიკაცია, რომელიც ეხება დაწყებითი კვალიფიკაციის მუშა ხელზე მოთხოვნას და დასძინა, რომ ეს პირველ რიგში უნდა იყოს დაკავშირებული უცხო ენასთან. აქვე განმარტა, რომ როდესაც ადამიანი მუშაობს საკრუიზო გემზე მინიმუმ ერთი უცხო ენა უნდა იცოდეს. ასევე განაცხადა, რომ დღევანდელ დღეს ერთ-ერთი დიდი გამოწვევა მეზღვაურებისთვის არის უცხო ენის არცოდნა. არსებობს უცხოენოვან გემებზე დასაქმების შესაძლებლობა, თუმცა ამ მიმართულებითაც უცხო ენის მცოდნე კადრები არ გვყავს. ასევე დაინტერესდა პრაქტიკის ნაწილი თუ არის უშუალოდ გემზე გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნათია მიქელთაძემ პირველ რიგში აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს დირექტორი, ბატონი თემურ კახიძე. იდეა ამ პროგრამის მომზადების შესახებ გაჩნდა იმ საზღვაო შრომის ბაზრის კვლევის შედეგად, რომელიც ბატონმა თემურმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

დასაქმების სააგენტომ შეუკვეთა 2019 წელს ორგანიზაციას. აქვე ახსენა, რომ ჩატარდა სამაგიდო კვლევა საზღვაო დარგში დასაქმების ბაზართან დაკავშირებით. ამ კვლევის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთა ერთი რამ, მიუხედავად იმისა რომ მსოფლიო ბაზარზე არსებობს საკრუიზო ლაინერის მომსახურე პერსონალზე მოთხოვნა, საქართველოში ეს ნიშა არის აუთვისებელი. საქართველოში არავინ არ ამზადებს ამ ტიპის პერსონალს. ბატონი თემური კახიძის იდეა იყო უნივერსიტეტს დაეწყო ამ მიმართულებით თანამშრომლობა და აეთვისებინა ეს ნიშა, თუმცა 2020 წელს ვერ მოხერხდა განხორციელება. ეს განაპირობა პანდემიამ, თუმცა ჩატარდა გარკვეული დაზვერვითი სამუშაოები მიმდინარე პერიოდში საკრუიზო კომპანიებთან სამუშაოდ. ეს არის რამდენიმე კომპანია, რომლის სათაო ოფისი არის ლატვიაში, საიდანაც ახლა ხელშეკრულებას ელოდებიან. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მოლაპარაკებას აწარმოებს ხელშეკრულების დასადებად კოლუმბიასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს არ ჰყავს საკრუიზო ლაინერები, აქვე დასძინა, რომ ეს სიტუაცია დამძიმებულია იმიტომ, რომ არც საკრუიზო კომპანიები არ ჰყავთ და აქამდეც არ ჰყოლიათ, რომლებიც მიაწოდებდნენ თანამშრომლებს, რეკრუტინგს განახორციელებდნენ და წაიყვანდნენ პერსონალს საკრუიზო ლაინერზე. კოლუმბია არის საქართველოში ერთ-ერთი პირველი კომპანია, რომელმაც ამ მიმართულებით გადადგა ნაბიჯები ბაზართან შესაბამისად. წარმომადგენელმა განაცხადა, როგორც კი კოლუმბია მოაწერს ხელს ყველა დოკუმენტს ეს იქნება დიდი შესაძლებლობა. პერსონალის მოთხოვნა ძალიან დიდია, გარდა იმ სამაგიდო სოციოლოგიური კვლევებისა, დაწესებულებამ შიდა მოკვლევები ჩატარა და დადასტურდა რომ ეს საკმაოდ პერსპექტიული, მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც არის აუთვისებელი ნიშა. აქვე დასძინა, რომ ეს არის საერთაშორისო დასაქმების დონის არეალის შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის პირველი მოკვლევადიანი პროგრამა რომელიც წარადგინეს, თუმცა ეს არის დაწესებულება 25 წლიანი გამოცდილებით, რომელიც ახორციელებს, პროფესიულ, საბაკავრო საგანმანათლებლო პროგრამებს. აქვე განაცხადა, რომ უცხო ენის ფლობა ნებისმიერ საფეხურზე წარმოადგენს ბარიერს იმისთვის, რომ მათ ჰქონდეთ საშუალება დაესაქმებინათ ეს ხალხი საკრუიზო კომპანიაში. უპირველესი ზომა რომელიც დაწესებულებამ მიიღო არის ის, რომ ამ პროგრამის წინაპირობა არის გაწერილი ინგლისური ენის A2 დონეზე. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის თუკი ადამიანი წარმოადგენს შესაბამის სერტიფიკატს მას ეთვლება ინგლისურის ფლობა, თუკი ვერ წარმოადგენს მას უტარდება ტესტირება, რომელშიც ერთდროულად ჩართულია პარტნიორი დასაქმების სააგენტო და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ტესტები შეთანხმებულია მათთანაც. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება პროგრამაზე მიღება. მიღებისთანავე ისინი იწყებენ ინგლისური ენის 4 თვიანი კურსის შესწავლას. აღნიშნულ კურსს გაუძღვება სპეციალური საზღვაო ინგლისურის სპეციალისტი, რომელიც მრავალი წელია ახორციელებს ინგლისურის კურსს სპეც. ტერმინოლოგიით. უზრუნველყოფილია საზღვაო ტერმინოლოგიისა და მიმტანის ტერმინოლოგიის სწავლება. აქვე დასძინა, რომ დიდი გამოცდილება დაწესებულებას აძლევს საშუალებას იფიქროს ოპტიმისტურად, თუ ამგვარად დაგეგმილი სწავლებით სასურველ შედეგზე ვერ გავლენ აუცილებლად მოხდება პროგრამის ცვლილება. რაც შეეხება პრაქტიკის ნაწილს კონვენციური და არაკონვენციური სპეციალობებს. მიმტანის სპეციალობა არ არის კონვენციური. მიმტანის სპეციალობაში ინტეგრირებული სასკოლო კომპონენტი გულისხმობს ზღვაზე სიცოცხლის უსაფრთხოების კომპონენტებს, რაც არ საჭიროებს საოკეანო პრაქტიკის გავლას. ეს კონვენციით რეგულირდება შესაბამისად მათ არ სჭირდებათ საზღვაო პრაქტიკაზე მიმტანის გაშვება მოტორისტიკისგან და საზღვაო ოფიცრებისგან განსხვავებით. რაც შეეხება სიცოცხლის უზრუნველყოფის წვრთნებს საზღვაო ნავიგაციის უნივერსიტეტი ფლობს საკუთარ საწვრთნელ გემს „ელიტას“. უნივერსიტეტი ფლობს ყველა რესურს, რაც არის საჭირო ზოგადად ყველა მეზღვაურის მოსამზადებლად. ის აღჭურვილობა რომელსაც გამოიყენებენ მიმტანის მოსამზადებლად საზღვაო კომპონენტში არის ერთი მცირე ნაწილი ზოგადად იმ მატერიალური-ტექნიკური ბაზის, რომელიც სჭირდება და გააჩნია ბათუმი ნავიგაციის უნივერსიტეტს. დაწესებულებას აქვს საერთაშორისო საზღვაო მომზადების დიდი ტრენინგ

ცენტრი, რომელიც მოქმედი მეზღვაურების მომზადება/გადამზადებას უზრუნველყოფს. ასევე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე პრაქტიკის ნაწილში, კერძოდ საზღვაო და საოკეანო პრაქტიკის უზრუნველყოფის აუცილებლობას ვერ ხედავენ. განხილვის დროს ასევე, ჩაერთო აჭარის დასაქმების სააგენტოს დირექტორი მადლობა გადაუხადა საბჭოს სხდომის წევრებს, რადგან შესაძლებლობა მიეცა დასწრებოდა სხდომას. ასევე, მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს ვინც აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში იღებდა მონაწილეობას და აღნიშნა, რომ ეს არის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხი. მან ასევე, განაცხადა რომ საბჭოთა პერიოდშიც კი როდესაც საქართველოს ფლოტი ჰყავდა, არ გააჩნდა სამგზავრო ფლოტი. თუმცა დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ სახელმწიფო უნდა იყენებდეს იმ რესურსს, რომელსაც შეუძლია მისთვის ეკონომიკური კაპიტალის შექმნა. ამიტომ საზღვაო შრომის ბაზრის სეგმენტის ათვისება ამ მიმართულებით, მისთვის როგორც სახელმწიფო მოხელისთვის დასაქმების სააგენტოს წარმომადგენლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე აღნიშნა ისიც, რომ ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერით მათ მოახერხეს ის, რომ ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში მოეძიებინათ ფინანსური რესურსი, რომელიც ამ პროგრამის შემდგომ მხარდაჭერასაც უზრუნველყოფდა. მან ასევე ისაუბრა კვლევის შესახებ, რომელიც 2019 წელს შესრულდა და არის სამაგიდე კვლევა, რომელიც ასევე მოიცავდა ინტერვიუებსაც მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზღვაო დაწესებულებების ხელმძღვანელების, კაპიტანებისა და გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად. კვლევა ჩატარდა სოციალური ანალიზისა და ტრანსფორმაციის ინსტიტუტის მიერ და საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები იყვნენ ჩართული.

ასევე დაინტერესდა იმ კვლევით, რომელიც საბჭოს წევრმა გიორგი ახსენა, დაინტერესდა რომელი საერთაშორისო კომპანია იყო ჩართული, რომელიც საკრუიზო მიმართულებით მუშაობს და დაადასტურებს, რომ არ არსებობს ამ მიმართულებით მოთხოვნა. მან ასევე ისაუბრა იმ დინამიკაზე, რომელიც საკრუიზო ლაინერების მწარმოებლებს ეხება და განაცხადა, რომ პანდემიამდე მზარდი მოთხოვნა იყო ნებართვის მოპოვებებზე საკრუიზო ლაინერების მშენებლობების მიმართულებით. პანდემიამ შეაჩერა და ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა საკრუიზო ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს, მათ შორის ისეთ მსხვილ კომპანიას, როგორცაა „კარიბიანი“. ასევე აღნიშნა ისიც, რომ პოსტპანდემიურ სიტუაციაში ისინი არიან იმ სეგმენტის წარმომადგენლები, რომლებსაც სურთ სწრაფად აღიდგინონ საქმიანობა. ასევე აღნიშნა ისიც, რომ საზღვაო შრომის ბაზარზე თუ კვლევა არის ჩატარებული, შესამჩნევი ტენდენციაა ქართულ სამუშაო ძალაზე გაზრდილი მოთხოვნა. ასევე, აღნიშნა, რომ ამას ცხადყოფს დასაქმებულთა მზარდი მაჩვენებელი. მან ასევე აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 40% მდე გაზრდილია ქართველ მეზღვაურებზე მოთხოვნა, ამის მიზეზად კი დაასახელა, რომ შრომითი ბაზრიდან გასულები იყვნენ ფილიპინები და ინდოეთი, რომელთანაც შექმნილი პანდემიური და პოსტპანდემიური მდგომარეობა მნიშვნელოვნად აფერხებს სამუშაო ძალის მიწოდებაზე. ასევე აღნიშნა საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობაც და ხაზი გაუსვა იმას, რომ როდესაც საუბრობს საკრუიზო, სამგზავრო ლაინერებზე სამუშაო ძალის რეკრუტირებაზე აქ იგულისხმება ყველა ტიპის სამგზავრო ხომალდი. როგორც დიდი საკრუიზო ლაინერი, ასევე საბორნე გადასასვლელი და სხვ. უცხო ენასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეიქმნება Language Hub, რომელიც გაიზიარებს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გამოცდილების მქონე ორგანიზაციის გამოცდილებას, რომელსაც 50 წლიანი უცხო ენის სწავლების გამოცდილება აქვს. სწავლების დროს გამოყენებული იქნება ციფრული სისტემები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული უცხო ენის უფრო სწავ შესაძლებლობას. მან განაცხადა ისიც, რომ დაგეგმილია ფორუმის განხორციელება, რომელზეც მოწვეული იქნებიან დამსაქმებლები საზღვაო საკრუიზო სფეროდან, ასევე სასწავლებლები, რომლებიც ამ კუთხით ჩართულნი არიან. ასევე განაცხადა, რომ პირველ ნაბიჯებს დგამენ ამ მიმართულებით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აღნიშნა, რომ 500 ადამიანი ამ მიმართულებით მცირე რეოდენობაა, თუმცა ეს არის ყოველ თვეში ოჯახებში შესული მილიონი დოლარის ინვესტიცია.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ განაცხადა, რომ ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისგან მიიღო პასუხები მის კითხვებზე და განმარტა თუ რას ნიშნავს სამაგიდე კველვა და აღნიშნა, რომ არსებობს მეორადი ინფორმაცია და ეს მეორადი ინფორმაციის დამუშავების, გაანალიზების შედეგად მოხდა. განაცხადა, რომ მსგავსი მეორადი ინფორმაციის, ასეთი მონაცემთა ბაზების საშუალებით ადამიანი ნაკლებად შეძლებს სტატისტიკური ინფორმაცია მოიპოვოს ანალიტიკურ ნაწილში. შენიშნა, რომ დასახელებაში უნდა გამოიყოს საყურადღებოდ ორ მიმართულება კერძოდ რას ნიშნავს გემზე მიმტანი და ასევე რას ნიშნავს მიმტანი. პროგრამის სახეა მომზადება, არ არის ისეთი უნარები, რომლებიც განსაკუთრებულ ცოდნასთან იყოს დაკავშირებული. მან ასევე აღნიშნა, რომ რადგანაც საუბარია გემების, საკრუიზო მიმტანის შესახებ აქ მოთხოვნა უცხო ენებზე იქნება მაღალი, ადამიანი უნდა ფლობდეს უცხოურ ენას, რადგან დასაქმდეს უცხოურ კომპანიაში. საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ განმეორებით დასვა კითხვა იმასთან დაკავშირებით თუ სად ხორციელდებოდა უშუალოდ პრაქტიკა, ხორციელდება თუარა გემზე პრაქტიკა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსად არ არის დადგენილი მოთხოვნა, რომ გემის მიმტანმა პრაქტიკა უნდა გაიაროს გემზე, მანამ სანამ იგი შეუდგება თავის პროფესიონალურ საქმიანობას. გიორგი გამყრელიძემ განაცხადა, რომ შრომის ბაზარი არეგულირებს ყველაფერს, მათ შორის იმას, რომ ანაზღაურების გაზრდის მიზნით პირი სხვა სამსახურში გადავა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კარგად იცნობს კვალიფიკაციის მოთხოვნებს, რომლებიც არსებობს იმ შემთხვევაში როცა იხსნება ვაკანსიები. რომელიმე დამსაქმებელ კომპანიას მაინც რომ ჰქონოდა სადმე მოხსენიებული, რომ გემის მიმტანი ვალდებულია ჰქონდეს გავლილი პრაქტიკა რაიმე მოცულობით უშუალოდ გემზე, ამას გაითვალისწინებდნენ პროგრამაში. გაივლიდნენ იგივე პრაქტიკას შესაბამის გემზე. აღნიშნა რომ ასეთი მოთხოვნა არ არსებობს არავის მხრიდან არცერთ ეტაპზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა საბჭოს წევრს გიორგი გამყრელიძეს, რომ განემარტა თუ სად იქნებოდა კვლევის ანგარიში სადაც იქნებოდა დასკვნა, რომ არსად არ არსებობს მოთხოვნა საკრუიზო გემის მიმტანის შესახებ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. ბატონმა გიორგიმ უპასუხა, რომ აუცილებლად მიაწოდებდა კვლევის შესახებ ინფორმაციას. დასაქმების ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ „კოლუმბიას“ ჰქონდა მოთხოვნა საკრუიზოზე და აღნიშნა, რომ მომავალში ამ მიმართულებით ძალიან დიდი მოთხოვნა იქნება. აქვე დასძინა, რომ დამსაქმებელი გემზე დასაქმებისთვის სერტიფიკატს არ მოითხოვს. მოითხოვს მხოლოდ მაკონვენციურებს და გასაუბრებას. ბოლოს ისაუბრა იმის შესახებ, რომ ქართულ სამუშაო ძალაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და დასკვნის სახით განაცხადა, რომ სწორედ ამიტომ იყო მათი სურვილი ფორმალიზირებული სწავლება ამ მიმართულებით. მათთვის მნიშვნელოვანი იქნება იმ მხრივაც, რომ ეკონომიკის ა და განათლების სამინისტრო გასცემს შეჯერებულ სერტიფიკატს, რაზედაც ორივე უწყება თანხმდება. მან ასევე აღნიშნა, რომ გერმანული საკრუიზო კომპანია დაუკავშირდა ამ მიმართულებით, ხოლო პროგრამულ ბიუჯეტში არის მოპოვებული დაფინანსება და მზად არის რომ დაფინანსდეს ეს მიმართულება.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სამგზავრო გემის მიმტანი“ /01310/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 1 (გიორგი გამყრელიძე)

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 245433623) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „სამგზავრო გემის მიმტანი“ /01310/ (დანართი 4).

საბჭოს სხდომა დასრულდა 15:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01319	ქართული ხალხური სიმღერის რეპეტიტორი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	14	ქართული	15	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01318	თექის ნაწარმის და აქსესუარების დამზადება	პროფესიული მომზადება	მესამე	18	ქართული	15	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01320	ქართული ხალხური ცეკვის რეპეტიტორ-ქორეოგრაფი	პროფესიული გადამზადება	მესამე	14	ქართული	15	ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. №11

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01310	სამგზავრო გემის მიმტანი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	16	ქართული	60	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38